



არაფორმალური
ზრდასრულთა
განათლების შიდა
გზამკვლევი

*საქართველოს ზრდასრულთა
განათლების ქსელი*

ნინო ხითარიშვილი
თბილისი, 2021

წინასიტყვაობა

წინამდებარე გზამკვლევი შემუშავდა ზრდასრულთა განათლების განვითარების ხელშესაწყობად და მიზნად ისახავს ზრდასრულთა განათლებაში ჩართული ტრენერებისათვის პრაქტიკული რჩევებისა და რეკომენდაციების მომზადებას, რაც ხელს შეუწყობს ეფექტიანი სასწავლო კურსების დაგეგმვას და განხორციელებას. გზამკვლევში განხილულია ზრდასრულთა განათლების ძირითადი პრინციპები და მახასიათებლები, რომლებიც ანდრაგოგიკას განასხვავებს პედაგოგიკისგან, მსწავლელთა სხვადასხვა მოდალობები და აქტივობები, რომლებიც უკეთ შეესაბამება თითოეული სწავლის სტილის მქონე ადამიანს, ზრდასრულთა სწავლების ეფექტიანი სტრატეგიები და ფსიქოლოგიური ასპექტები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნას ზრდასრულებთან მუშაობის დროს.

იმედს ვიტოვებთ, მომზადებულ გზამკვლევს ექნება პრაქტიკული გამოყენება და თავის მოკრძალებულ წვლილს შეიტანს ზრდასრულთა განათლების განვითარებაში.

სარჩევი

თავი 1. რა უნდა ვიცოდეთ ზრდასრულთა განათლების სწავლების პრინციპების შესახებ	3
თავი 2: მსწავლელთა მოდალობები - რატომ არის მნიშვნელოვანი ვიცოდეთ როგორი ტიპის მსწავლებლები არიან ზრდასრულები	12
თავი 3: ზრდასრულთა სწავლების ეფექტიანი სტრატეგიები	20
თავი 4: 11 ფსიქოლოგიური ასპექტი, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ ზრდასრულებთან მუშაობისას	27
დანართები	36
გამოყენებული ლიტერატურა.....	39

თავი 1. რა უნდა ვიცოდეთ ზრდასრულთა განათლების სწავლების პრინციპების შესახებ

„იცხოვრე, ისე თითქოს ეს შენი ცხოვრების უკანასკნელი დღეა, ისწავლე ისე, თითქოს სამუდამოდ აპირებდე ცხოვრებას“

მაჰათმა განდი

ზრდასრულთა განათლებაში ჩართული ტრენერისათვის მეტად მნიშვნელოვანია იმ ძირითადი პრინციპებისა და მახასიათებლების ცოდნა, რომლებიც აღნიშნული ჯგუფის მსწავლებლებს განასხვავებს სხვა ტიპის მსწავლებლებისგან. ზრდასრულთა განათლების აქტუალობა და ამ მიმართულებით დაინტერესება განსაკუთრებით გაიზარდა XX ს-ის II ნახევარში, როდესაც მთელს მსოფლიოში მეორე მსოფლიო ომის შედეგად დაზარებული ეკონომიკის სწრაფი რეაბილიტაცია გახდა საჭირო, რაც ითხოვდა ზრდასრული მოსახლეობის გადამზადებას და სხვადასხვა ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვას. სწორედ აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული, მსოფლიოს სხვადასხვა წამყვანი ქვეყნების წარმომადგენლებმა დაიწყეს რეგულარული შეხვედრები და ერთობლივი რეკომენდაციების შემუშავება, თუ როგორ შეიძლება დახმარებოდნენ ზრდასრულთა განათლების განვითარებას. აღნიშნული მსოფლიო კონფერენციები დღემდე გრძელდება და ის ცნობილია CONFINTEA-ს სახელით.

XX ს-ის 70-იანი წლებიდან საფუძველი ჩაეყარა ზრდასრულთა განათლების შემსწავლელ მეცნიერებას - ანდრაგოგიკას. აღნიშნული ტერმინი, ჯერ კიდევ 1883 წელს ნაბეჭდი სახით პირველად გამოიყენა გერმანელმა პედაგოგმა ალექსანდერ კამპმა, ხოლო უშუალოდ თეორიის ჩამოყალიბებასა და მის განვითარებაში დიდი წვლილის შეტანა უკავშირდება ამერიკელი განმანათლებლის მალკოლმ ნოუელსის სახელს. მისი განმარტებით, ანდრაგოგიკა ზრდასრულთა სწავლაში დახმარების ხელოვნებას და მეცნიერებას გულისხმობს. თანამედროვე დეფინიციით კი, ანდრაგოგიკა პედაგოგიური მეცნიერების ნაწილია, რომელიც მოიცავს ზრდასრული ადამიანის მიერ ცოდნისა და უნარ-ჩვევების ათვისების თეორიულ და პრაქტიკულ პრობლემებს; ამასთან, ხსნის ათვისების პროცესის კანონზომიერებებს და პროფესიონალი ტრენერის მხრიდან ამ პროცესის ხელმძღვანელობის განსაკუთრებულობას.

არაფორმალური ზრდასრულთა განათლების შიდა გზამკვლევი

როგორც დეფინიციიდან ჩანს, ზრდასრულთა განათლებას ახასიათებს რიგი თავისებურებები, რომელთა ცოდნა და სასწავლო პროცესში გათვალისწინება ძალიან მნიშვნელოვანია ეფექტიანი სწავლების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული პრინციპები თავდაპირველად აღმოჩენილი იქნა მალკოლმ ნოუელსის მიერ, ხოლო შემდეგ, სხვადასხვა კვლევებისა და დაკვირვების საფუძველზე, კიდევ უფრო შეივსო და დაიხვეწა.

ქვემოთ წარმოგიდგენთ ზრდასრულთა განათლების ძირითად პრინციპებს და მათ განმარტებებს, ასევე რეკომენდაციებს, რომლებიც ზრდასრულთა განათლების ტრენერებს დაეხმარებათ სასწავლო კურსების ეფექტიანად წარმართვაში.

პრინციპი N1: ზრდასრულებმა უნდა იცოდნენ, თუ რატომ სწავლობენ ისინი

ზრდასრული მსწავლებლების მოტივაცია მნიშვნელოვნად იზრდება, როცა მათ იციან, თუ რატომ სწავლობენ კონკრეტულ საკითხს, ამიტომ სწავლების დაწყებამდე მათ უნდა მივაწოდოთ დეტალური ინფორმაცია კურსის/ტრენინგის მიზნების, ამოცანებისა და სასწავლო განრიგის შესახებ. მეორე მნიშვნელოვანი ნაბიჯია ზრდასრულებმა დაინახონ თუ როგორ შეუწყობს ხელს კურსის სწავლის შედეგების მიღწევა მათი პირადი მიზნების რეალიზაციას. ამიტომ სანამ კონკრეტული თემატიკის ახსნაზე ან უნარების პრაქტიკულ გამომუშავებაზე გადახვალთ, დარწმუნდით, რომ თქვენს ზრდასრულ სტუდენტებს ესმით კითხვა „რატომ“? უთხარით ზრდასრულებს გულახდილად, თუ რატომ არის კონკრეტული თემა ან ტრენინგის განმავლობაში განხორციელებული აქტივობა მათთვის მნიშვნელოვანი, აუხსენით ამ აქტივობების მიზნები და დაეხმარეთ დააკავშირონ ყოველი კონკრეტული ნაბიჯი იმ დიდ მიზანთან, რისი მიღწევაც უნდათ მათ.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხია თანაფარდობა პოტენციურ რისკსა და პოტენციურ სარგებელს შორის. ზრდასრულებს სურთ იცოდნენ, რას დაკარგავენ თუ არ ისწავლიან კონკრეტულ საკითხს ან პირიქით, რა სარგებელს მიიღებენ ამ საკითხის შესწავლის შედეგად. შესაბამისად, ტრენერის მიზანია დაეხმაროს და გააცნობიერებინოს ზრდასრულებს, რომ კონკრეტული საკითხის

არაფორმალური ზრდასრულთა განათლების შიდა გზამკვლევი

შესწავლა მათთვის გაცილებით უფრო მეტი სარგებლის მომტანი იქნება, ვიდრე ამ საკითხის უგულებელყოფით გამოწვეული რისკები.

ზრდასრულებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს დროს. მათ სურთ ზუსტად იცოდნენ დროის რა მოცულობის ინვესტირება დასჭირდებათ კონკრეტული საკითხის დასაუფლებლად. შესაბამისად, სწავლების პროცესში ტრენერმა ამ საკითხზეც უნდა გაამახვილოს ყურადღება.

პრინციპი N2: კონცენტრაცია საკუთარ თავზე

მოზრდილები პასუხისმგებლები არიან საკუთარ ცხოვრებაზე და გადაწყვეტილებებზე; მათ სურთ, რომ სხვა ადამიანების (მასწავლებლის/ფასილიტატორის/ტრენერის) მიერ ისინი აღქმული იყვნენ, როგორც ადამიანები, რომელთაც აქვთ უნარი თავად განსაზღვრონ საკუთარი განვითარების გზა.

პრინციპი N3: წინარე გამოცდილება

მოზრდილების სწავლებაში ერთვებიან სხვადასხვა გამოცდილებით და ეს გამოცდილება განსხვავდება როგორც მოცულობით, ისე ხარისხით. ზრდასრულებს ახასიათებთ ახალი ცოდნა დაუკავშირონ ძველ გამოცდილებას და მასთან ბმაში შეაფასონ მისი მნიშვნელობა; ამიტომ ზრდასრულთა განათლებაში მეტად აუცილებელია ჯგუფების ფორმირებისას გავითვალისწინოთ ეს მახასიათებელი და ჯგუფები დავაკომპლექტოთ ერთნაირი გამოცდილების მქონე ადამიანებისგან.

პრინციპი N4: სწავლებისადმი მზაობა

მოზრდილები, როგორც წესი, თავისი სურვილით ებმებიან სწავლის პროცესში, შესაბამისად, მათ აქვთ გარკვეული წინასწარი მზაობა და მოტივაცია. ზრდასრულები მზად არიან ისწავლონ ის საკითხები, რისი ცოდნაც მათ სჭირდებათ იმისათვის რომ ეფექტურად გაუმკლავდნენ ცხოვრებისეულ პრობლემებს. შესაბამისად, ზრდასრულთა განათლებაში რეალური, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების სტილის გამოყენება ეფექტიანია.

არაფორმალური ზრდასრულთა განათლების შიდა გზამკვლევი

პრინციპი N5: ორიენტაცია სწავლის პროცესზე

ეს პრინციპი ნიშნავს, რომ მოზრდილები ორიენტირებული არიან „პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდებზე“ განსხვავებით ბავშვებისგან, რომლებსაც ურჩევნიათ „საგანზე ორიენტირებული სწავლება“. მოზრდილები ახალი ინფორმაციის ათვისებისას ყოველთვის ფიქრობენ, რა დახმარებას გაუწევთ მათ ეს ცოდნა საკუთარი პრობლემების მოგვარებისას, ამიტომ ტრენერი ყოველთვის უნდა უსმევდეს ხაზს რა კავშირშია ახალი ცოდნა და უნარები რეალურ ცხოვრებასთან და როგორ შეიძლება მიღებული ინფორმაცია მსმენელების მიერ გამოყენებული იქნას მათი პრობლემების გადასაჭრელად.

პრინციპი N6: მოტივაცია

ზრდასრულთა სწავლება ძირითადად ნებაყოფლობითია. ის მეტწილად შინაგანი მოტივებითაა განპირობებული და ძირითადად ეფუძნება:

- ცხოვრების უკეთესი ხარისხის შექმნას;
- აღიარებას;
- თვითშეფასების გაზრდას;
- თვითპატივისცემის გაზრდას;
- თვითრეალიზაციის გაზრდას.

ზრდასრულთა განათლების სფეროში ასევე ცნობილია რობერტ ჰაიკის მოსაზრებები, რომელიც ზრდასრულთა სწავლების მახასიათებლებს ადარებს ჩვილი ბავშვების მიერ სამყაროს შეცნობის პროცესს და აყალიბებს 4 ძალიან საინტერესო მოსაზრებას:

1. **ზრდასრულები ჩვილებს გვანან, ოღონდ მოზრდილი ტანი აქვთ** - როგორც ცნობილია ჩვილი ბავშვები გამოცდილებით სწავლობენ. მათ მიერ შეძენილი თითოეული ახალი ცოდნა და უნარი პრაქტიკულ გამოცდილებას უკავშირდება. როცა ბავშვები იზრდებიან, მათ სწავლების პროცესში გამოცდილებით სწავლების წილი მნიშვნელოვნად მცირდება. დღეს უკვე დადასტურებულია, რომ ზრდასრულები უკეთ სწავლობენ მაშინ, როცა ისინი თავად მონაწილეობენ პრაქტიკულ სასწავლო აქტივობებში.

2. **ადამიანები არ კამათობენ საკუთარ იდეებთან** - მარტივი ჭეშმარიტებაა, რომ როდესაც ადამიანი საკუთარი მსჯელობით მიდის რაღაც იდეამდე, უფრო სჯერა ამ იდეის, ვიდრე იმ

არაფორმალური ზრდასრულთა განათლების შიდა გზამკვლევი

შემთხვევაში თუ ეს კონკრეტული თემა მზა სახითაა მისთვის მიწოდებული. ზრდასრულთა განათლების პროცესში ამ მიდგომის გამოყენება მნიშვნელოვანია და ტრენერებისთვის კარგ მიგნებას წარმოადგენს. ყოველთვის უმჯობესია სასწავლო კურსი კონსტრუირებული იყოს იმგვარად, რომ ხელს უწყობდეს ზრდასრულებს თავად მიდიოდნენ კონკრეტულ გადაწყვეტილებებამდე და აღმოჩენებამდე, ვიდრე ეს იყოს ტრენერის მხრიდან მზა სახით მიწოდებული, უბრალოდ დასამახსოვრებელი ინფორმაცია.

3. **სწავლა პირდაპირპროპორციული გართობისა და სიამოვნებისა** - კომფორტული და თავისუფალი სასწავლო გარემოს შექმნას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზრდასრულებთან მუშაობის პროცესში. ამ შემთხვევაში ძალიან სასარგებლოა იუმორის გამოყენება ან ისეთი აქტივობების შემოტანა, რომელიც სასწავლო მიზნებთან ერთად გარკვეულწილად განტვირთვის ფუნქციასაც ითავსებს.

4. **სწავლება შედეგიანია მხოლოდ მაშინ, როცა ქცევა იცვლება** - ზრდასრულთა განათლების ტრენერმა მუდამ უნდა მოუწოდეს თავის მსმენელებს აქტიურად გამოიყენონ პრაქტიკაში ის, რაც ისწავლეს. სხვა შემთხვევაში მიღებული ცოდნა ან გამომუშავებული უნარები ვერ იქნება ეფექტიანი. ამ კუთხით მნიშვნელოვან დახმარებას გაგიწევთ წარმატებული ადამიანების წარმატებული პრაქტიკის მაგალითების ჩვენება/დემონსტრირება.


ზემოთჩამოთვლილი მახასიათებლებიდან გამომდინარე ნათლად ჩანს, რომ ანდრაგოგიკა მნიშვნელოვნად განსხვავდება პედაგოგიკისგან. მეტი დეტალიზაციისათვის ქვემოთ წარმოგიდგენთ ამ ორი მეთოდის შედარებით დახასიათებას.

დავიწყით თავად ტერმინების განმარტებით. „**პედაგოგიკა**“ ბერძნული სიტყვაა და პირდაპირი გაგებით ბავშვის ტარებას, გაძღვლას, ხელმძღვანელობას ნიშნავს. პედაგოგიკა არის მეცნიერება აღზრდის შესახებ. **ანდრაგოგიკა** ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ზრდასრული/მოწიფული ადამიანის გაძღვლას. ანდრაგოგიკის შესწავლის ფოკუსია ზრდასრული ადამიანის მიერ ცოდნისა და უნარ-ჩვევების შექმნის თავისებურებები.

პედაგოგიკის შემთხვევაში ინფორმაციის მიწოდება აუდიტორიისთვის ხდება ძირითადად ერთი პიროვნების მიერ. ამ შემთხვევაში სწავლების პროცესში წამყვანია მასწავლებლის გამოცდილება.

არაფორმალური ზრდასრულთა განათლების შიდა გზამკვლევი

ანდრაგოგიკის შემთხვევაში კი, ინფორმაცია მოძრაობს არა მხოლოდ ტრენერიდან მსმენელებისკენ, არამედ, მსმენელებიდან ტრენერებისკენ და რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, თავად მსმენელებს შორის. ამ მოდელში თითოეული მსმენელის გამოცდილება ძალიან მნიშვნელოვანი და ღირებულია. (ქვემოთ მოცემულია აღნიშნული პროცესების ვიზუალიზაცია. პირველი ინფოგრაფიკი გამოსახავს პედაგოგიკის მოდელს, ხოლო მეორე - ანდრაგოგიკას).



პედაგოგიკასა და ანდრაგოგიკას შორის მნიშვნელოვანი სხვაობა სწავლების პროცესის ორგანიზების კუთხითაც. **პედაგოგიკის** შემთხვევაში მოსწავლეები არ არიან ჩართულნი შესასწავლი მასალის/თემების შერჩევაში, ეს მასწავლებლის პრეროგატივაა. სწორედ ის იღებს გადაწყვეტილებას რა, როდის და როგორ უნდა ისწავლონ ბავშვებმა. **ანდრაგოგიკის** შემთხვევაში კი, მსმენელები ეხმარებიან ტრენერს განსაზღვრონ ის საჭიროებები, რომელთა მიღებაც მათ უნდათ სასწავლო კურსიდან. ასევე, რიგ შემთხვევებში, მსმენელებს სჭირდებათ კონკრეტული საბაზო კომპეტენციების ფლობა სასწავლო პროცესში ჩართულობისთვის. ტრენერის როლი ამ შემთხვევაში არის დამხმარე, მხარდამჭერი.

შემდეგი მნიშვნელოვანი განმასხვავებელი კრიტერიუმია საკლასო კლიმატი. **პედაგოგიკის** შემთხვევაში, სასწავლო ოთახში მასწავლებელი არის ავტორიტეტი, ხოლო სასწავლო გარემო არის ფორმალური და კონკურენციაზე დაფუძნებული. **ანდრაგოგიკის** დროს სასწავლო გარემო არის თანამშრომლობითი. აქ დაფასებულია მსმენელების წინარე ცოდნა და გამოცდილება. სასწავლო პროცესის მონაწილეთა შორის არ არის იერარქია, თითოეული პიროვნება არის დაფასებული და იმსახურებს პატივისცემას. სასწავლო გარემო უფრო არაფორმალურია და ეფუძნება ნდობას.

მნიშვნელოვანი კრიტერიუმია ასევე სასწავლო პროცესის დაგეგმვა. **პედაგოგიკის** დროს მასწავლებელი ამზადებს გაკვეთილის გეგმებს, ხოლო **ანდრაგოგიკის** დროს სასწავლო პროცესი

არაფორმალური ზრდასრულთა განათლების შიდა გზამკვლევი

იგეგმება ერთობლივად, ტრენერისა და მსმენელების მიერ. ყოველი ცალკეული მსმენელთა ჯგუფისთვის ის შეიძლება იყოს განსხვავებული, რადგან ითვალისწინებს მსწავლელთა წინარე გამოცდილებას.

შემდეგი კრიტერიუმია საჭიროებების დიაგნოსტიკა. **პედაგოგიკის** დროს მოსწავლეების საჭიროებები განისაზღვრება მასწავლებლის ან სკოლის ადმინისტრაციის მიერ, ხოლო **ანდრაგოგიკის** დროს ამ საჭიროებების შეფასება ხდება ერთობლივად, მსმენელების აქტიური ჩართულობით.

მნიშვნელოვანი განსხვავებაა სასწავლო მასალი შინაარსთან დაკავშირებითაც. **პედაგოგიკის** დროს, სწავლება დაფუძნებულია საგნობრივ სტანდარტებზე და ხდება კონკრეტული დისციპლინების შინაარსის შესწავლა, მაშინ როცა **ანდრაგოგიკაში** შესასწავლი თემატიკა დაფუძნებულია პრობლემების/კონკრეტული დავალებების გადაჭრაზე და თავისი არსით, მეტად პრაქტიკულია.

სასწავლო აქტივობების მხრივ თუ განვიხილავთ, **პედაგოგიკა** მიმართულია შესასწავლი მასალის დამახსოვრებაზე, ხოლო **ანდრაგოგიკა** იყენებს ექსპერიმენტული სწავლების სტილს, რაც ნიშნავს იმას, რომ სასწავლო პროცესში განხორციელებული აქტივობები პრობლემაზე ფოკუსირებულია და მიმართულია რეალური ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრაზე.

და ბოლოს, თუ შევადარებთ შეფასების მეთოდებს, გამოჩნდება, რომ **პედაგოგიკაში** სასწავლო პროცესს აფასებს მასწავლებელი, ხოლო **ანდრაგოგიკაში** ეს უფრო ორმხრივი პროცესია ტრენერსა და მსმენელს შორის და ეფუძნება როგორც მსმენელის მიერ განხორციელებულ თვითშეფასებას, ისე ტრენერისა და სხვა მსმენელებისაგან მიღებულ უკუკავშირს.

ქვემოთ წარმოგიდგენთ შედარებით ცხრილს, სადაც აღწერილია კონკრეტული მახასიათებლების მიხედვით ანდრაგოგიკისა და პედაგოგიკისთვის დამახასიათებელი ნიშნები:

საჭიროებების დიაგნოსტიკა-სწავლის მიზანი	სახელმწიფო (მასწავლებელი) განსაზღვრავს მოსწავლეთა საჭიროებებს	საჭიროებები განისაზღვრება მსმენელეთა საერთო შეფასებებით
სწავლა/სწავლების მეთოდები	ინდუქციური - გაკვეთილის ახსნა (ლექციის წაკითხვა), პრეზენტაციები, სავარჯიშოები - ძირითადად ცალმხრივი კომუნიკაცია და ნაკლები ურთიერთქმედება. აქტივობები ორიენტირებულია დამახსოვრებაზე.	დედუქციური - ჯგუფური განხილვები, პრაქტიკული დავალებები, ექსპერიმენტული სწავლა (მიდგომები, რომლებიც დაფუძნებულია პრობლემების გადაჭრაზე და მიმართულია რეალური ცხოვრებისეული გამოცდილების გამოიმუშავებაზე).
მსწავლელის როლი	მოსწავლე არის ღრუბელი, რომელიც იწოვს მიწოდებულ ინფორმაციას.	მსმენელი არის რესურსი; მსმენელები სწავლობენ ერთმანეთის გამოცდილებიდან.
მასწავლებლის/ტრენერის როლი	მასწავლებელი არის ექსპერტი - ინფორმაციის წყარო.	ტრენერი არის კატალიზატორი და ფასილიტატორი - ახდენს მსმენელთა გამოცდილების დალაგებას და ხელს უწყობს გამოცდილებების გაზიარებას.
შეფასება	მოსწავლე ფასდება მასწავლებლის მიერ, ვინაიდან მოსწავლეებს არ აქვთ საკუთარი აკადემიური მიღწევების შეფასების უნარი.	მეტად გაზიარებული პროცესია მსწავლელსა და ტრენერს შორის. თვითშეფასება (რეფლექსია) უფრო ეფექტურია, ვიდრე ტრენერის შეფასება. სხვა მონაწილეებისგან მიღებულ უკუკავშირს შეუძლია დააჩქაროს პროგრესი.
ინფორმაციის მიღება	წარმოდგენილ ინფორმაციას იღებენ პირდაპირი მნიშვნელობით.	ინფორმაციას იღებენ მათი შეხედულებების და ღირებულებების საფუძველზე.
ცოდნის გამოყენება	მოლოდინი აქვთ, რომ რასაც სწავლობენ გამოადგებათ გრძელვადიან პერსპექტივაში.	მოლოდინი აქვთ, რომ რასაც სწავლობენ გამოიყენებენ მოკლევადიან პერსპექტივაში

<p>მოტივაცია/ მოსალოდნელი ჯილდო</p>	<p>გარეგანი - ნიშნები, სწავლის შემდგომ საფეხურზე გადასვლა და სხვ.</p>	<p>შინაგანი - პრობლემების გადაჭრის უნარი, გადაწყვეტილების მიღების უნარი, დამოუკიდებლად აზროვნების უნარი და სხვ.</p>
<p>წარმატება</p>	<p>დამოკიდებულია უმთავრესად იმაზე, რა იცის მოსწავლემ.</p>	<p>დამოკიდებულია უმთავრესად იმაზე, როგორ იყენებს მსმენელი იმას, რაც იცის.</p>

თავი 2: მსწავლელთა მოდალობები - რატომ არის მნიშვნელოვანი ვიცოდეთ როგორი ტიპის მსწავლებლები არიან ზრდასრულები

ზრდასრულთა განათლების დამახასიათებელი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი უკავშირდება სწავლის მოდალობების ანუ სწავლის იმ სტილის დადგენას, რომელთა დახმარებითაც ყველაზე უკეთ იღებენ, ამუშავებენ და იმახსოვრებენ ინფორმაციას ზრდასრულები.

ამ საკითხთან დაკავშირებით აღმოჩენილია საკმაოდ საინტერესო მიდგომა, რომელიც ამბობს, რომ სწავლის მოდალობის მიხედვით ადამიანები იყოფიან 3 ძირითად ჯგუფად. ესენია:

- მხედველობითი (ვიზუალური) სწავლის სტილი;
- სმენითი სწავლის სტილი;
- კინესთეტიკური/ტაქტილური სწავლის სტილი.

ზრდასრულებს სურთ ისწავლონ საკუთარი სწავლის სტილის გამოყენებით. შესაბამისად, იმისათვის, რომ ტრენერმა შეძლოს ეფექტიანი სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვა, მან ჯერ უნდა დაადგინოს როგორი ტიპის მსმენელები ჰყავს აუდიტორიაში და შემდეგ დაგეგმოს კურსის განხორციელების მეთოდოლოგია. აღნიშნული დაეხმარება სწავლების პროცესში ჩართოს ისეთი აქტივობები, რომლებიც მაქსიმალურად მარტივად და ეფექტიანად უზრუნველყოფს გადაცემული ინფორმაციის დამახსოვრებას/უნარების გამომუშავებას.

რამდენადაც ზრდასრულებს სურთ ისწავლონ საკუთარი სწავლის სტილის გამოყენებით, ტრენერებს უნდა შეეძლოს:

1. მსმენელთა სწავლის სტილის გამოვლენა;
2. სწავლის სტილზე მორგებული სასწავლო აქტივობების შეთავაზება.

ქვემოთ წარმოგიდგინთ სწავლის თითოეული სტილის მოკლე დახასიათებას და რეკომენდაციებს სასწავლო აქტივობებთან დაკავშირებით, რომლებიც ყველაზე მეტად ეფექტიანია განხილულ მოდულებთან მიმართებით.

მხედველობითი (ვიზუალური) სწავლის მოდალობა

ადამიანები, რომლებსაც განვითარებული აქვთ მხედველობითი (ვიზუალური) სწავლის მოდალობა, სწავლების პროცესში უპირატესობას ანიჭებენ ვიზუალური მასალის გამოყენებას. მათი სლოგანია „მაჩვენე“. ეფექტიანი სწავლებისთვის მნიშვნელოვანია გამოვიყენოთ რაც შეიძლება მეტი ნახატი, სქემა, გრაფიკი, სურათი, ილუსტრაცია, დიაგრამა, დაფაზე წერა და ა.შ.

სმენითი (აუდიალური) სწავლის მოდალობა

სმენითი (აუდიალური) სწავლის მოდალობის მქონე ზრდასრულები ინფორმაციას ყველაზე უკეთ იღებენ მოსმენის გზით. მათი დევიზია „მითხარი“. ისინი ყურადღებას აქცევენ ტრენერის ტონსაც კი და როგორც წესი, აქტიურად მონაწილეობენ დისკუსიებში. ეფექტიანი სწავლებისთვის აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ: სხვადასხვა ისტორიები, მაგალითები, განვიხილოთ სხვადასხვა შემთხვევები და ქეისები, მოვაწყოთ დისკუსიები.

კინესთეტიკი ან ტაქტილური სწავლის მოდალობა

კინესთეტიკი ან ტაქტილური სწავლის მოდალობის მქონე ზრდასრულებისთვის სწავლის პროცესში ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია აქტივობების ფიზიკურად შესრულება ანუ სწავლა კეთებით. მათი სლოგანია: „ნება მომეცი, გავაკეთო“. სწავლის პროცესში ისინი ეყრდნობიან საკუთარ გრძნობის ორგანოებს და ემოციებს. ეფექტიანი სწავლებისთვის აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ: სხვადასხვა აქტივობები, როლური თამაშები, სიმულაციური თამაშები და რაც

არაფორმალური ზრდასრულთა განათლების შიდა გზამკვლევი

მთავარია, მათ უნდა მიეცეთ უფლება პრაქტიკაში გაიმეორონ და გამოსცადონ ის, რაც ისწავლეს. კვლევები მოწმობს, რომ სასკოლო პერიოდში ყველაზე ნაკლებად წარმატებული მოსწავლეები არიან ამ მოდალობის მქონე ბავშვები, რადგან სკოლის გაკვეთილები ნაკლებადაა მიმართული ისეთი აქტივობების გამოყენებაზე, როგორცაა სასწავლო საკითხის პრაქტიკაში მოსინჯვა, პრაქტიკული შესრულება. შესაბამისად, ამ მოდალობის მქონე ადამიანებს უჭირთ სკოლაში მიღებული ინფორმაციის მიღება და დამახსოვრება. ასეთი ადამიანები უკეთესები არიან პროფესიული განათლების მიმართულებით.

არსებობს სხვადასხვა ტესტი რომელიც გვეხმარება დავადგინოთ, თუ სწავლის რომელ მოდალობას განეკუთვნება ჩვენი ზრდასრული მსმენელი. მნიშვნელოვანია, აღნიშნული დიაგნოსტიკა გაკეთდეს ტრენინგის საწყის ეტაპზევე, რათა ტრენერმა დროულად და სწორად შეარჩიოს სწავლა-სწავლების ეფექტიანი მეთოდები, რომლებსაც გამოიყენებს მსმენელების კონკრეტულ ჯგუფთან. ეფექტიანი სასწავლო პროცესის ორგანიზებისთვის ასევე მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ორი მოცემულობა:

- ადამიანებს სწავლის ყველა მოდალობა აქვთ განვითარებული, თუმცა ზემოთდასახელებული მოდალობებიდან, როგორც წესი, ერთი რომელიმე არის წამყვანი;
- ზრდასრულთა ჯგუფები თავისი შემადგენლობით მრავალფეროვანია, გაცილებით უფრო მრავალფეროვანი, ვიდრე მოსწავლეებით დაკომპლექტებული კლასი. შესაბამისად, ზრდასრულთა ნაწილში, ერთიდაიგივე ჯგუფში შეძლება აღმოჩნდეს სხვადასხვა სწავლის მოდალობის მქონე პირები. **როგორი უნდა იყოს ამ შემთხვევაში ტრენერის მიდგომა?**

ასეთ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია **ტრენერმა თითოეული შეხვედრა (ლექცია) წარმართოს სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით**: ახალი მასალა ახსნას პრეზენტაციის გამოყენებით, რაც მხედველობით მსწავლებლებს დაეხმარებათ მიწოდებული მასალის უკეთ გაგებაში, მასალის ახსნის პროცესში მოიშველიოს სხვადასხვა ისტორიები, განიხილოს სხვადასხვა შემთხვევა (ქეისი) ან მოაწყოს დისკუსიები. ეს მიდგომა სმენით (აუდიალურ) მსწავლებლებს გაუადვილებთ სწავლის პროცესს, ასევე მეტად მნიშვნელოვანია სწავლების პროცესში ინტერაქტიული და პრაქტიკული აქტივობების განხორციელება, რაც კინესთეტიკ მსწავლებლებს დაეხმარებათ გადაცემული მასალის გათავისებაში.

არაფორმალური ზრდასრულთა განათლების შიდა გზამკვლევი

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ მასალის დამახსოვრების ხარისხი იზრდება, თუ მსმენელთათვის მომზადებული პრეზენტაციები მოიცავს როგორც ვიზუალურ, ისე აუდიალურ ინფორმაციას და ლექციების მიმდინარეობისას გამოყენებულია ინტერაქტიული აქტივობები. ქვემოთ წარმოგიდგენთ ცხრილს, სადაც მოცემულია რამდენიმე სასარგებლო იდეა, რომლებიც დაგეხმარებათ ეფექტიანად დაგეგმოთ სასწავლო პროცესი სხვადასხვა მოდალობის მქონე ადამიანისთვის.

ცხრილი N2: მეთოდური იდეები სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებით

სწავლის მოდალობა	სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული იდეები	მოკლე აღწერა
მხედველობითი	გამოიყენეთ ფერები	მხედველობით მსწავლელი ადამიანისთვის ინფორმაციის დამახსოვრება უკავშირდება ვიზუალურ ხატებს, ამიტომ შეეცადეთ სწავლების პროცესში ხშირად გამოიყენოთ ფერები, ეს მათ ყურადღების კონცენტრაციაში დაეხმარებათ. მაგ: მასალის დამუშავების დროს სთხოვეთ მსმენელებს კონკრეტული თარიღები ან სახელები ტექსტში მონიშნონ ყვითლად, გეოგრაფიული ადგილები - ლურჯად და ა.შ.
	გამოიყენეთ ჟესტიკულაცია	სწავლების პროცესში ყურადღება მიაქციეთ სხეულის ენას. თუ საუბრისას თქვენ გამოიყენებთ ჟესტიკულაციას და მიმიკას, ეს დაეხმარება ვიზუალ მსწავლელს გაამახვილოს ყურადღება მნიშვნელოვან საკითხებზე და დაამყარონ კავშირი მიღებულ ინფორმაციას შორის.
	გამოიყენეთ პოსტერები და გრაფიკები	გამოიყენეთ ტექნოლოგიები, რათა მსმენელებს ვიზუალურად დაანახოთ ის ინფორმაცია, რაზეც ესაუბრებით. ამისთვის, საუკეთესო გამოსავალია გრაფიკების და ცხრილების ჩვენება. როგორც წესი,

არაფორმალური ზრდასრულთა განათლების შიდა გზამკვლევი

		გრაფიკები და ცხრილები ხშირად გამოიყენება ტექნიკურ საგნებში/კურსებში, თუმცა ასეთივე წარმატებით შეიძლება გამოყენებული იქნას სხვა მიმართულებებშიც.
	დახატეთ ტექსტი	შესთავაზეთ მსმენელებს დახატონ დასამუშავებელი ტექსტის ის ნაწილი, რომელიც განსაკუთრებულად მხატვრულად არის გადმოცემული. ეს დაეხმარებათ მათ უფრო დაუახლოვდნენ ტექსტს და უკეთ აღიქვან მისი შინაარსი.
	გამოიყენეთ ჰენდაუტები	გამოიყენეთ ჰენდაუტები (მოკლე ჩანაწერები) სადაც ფერადი მარკერით მონიშნული იქნება მნიშვნელოვანი საკითხები.
	იფიქრე, დააწყვილე, გააზიარე	ვიზუალ მსწავლებლებს ხშირად უჭირთ საკუთარი იდეების ზეპირად გაჟღერება, ახსნა და გაზიარება, ამიტომ შესთავაზეთ მათ აქტივობა „იფიქრე, დაწყვილდი, გააზიარე“. ეს მიდგომა შეიძლება გამოყენებული იქნას ნებისმიერი თემატიკის პირობებში. თავდაპირველად, მსმენელებს მიეცით ღია დაბოლოებიანი შეკითხვა და სთხოვეთ, მოიფიქრონ პასუხები ინდივიდუალურად. შემდგომ დააჯგუფეთ მსმენელები წყვილებში ან მცირე ჯგუფებში და სთხოვეთ გაუზიარონ ერთმანეთს საკუთარი მოსაზრებები. შემდგომ კი გახსენით დისკუსია მთელი ჯგუფისთვის. როგორც წესი, როდესაც თქვენ სვავთ კითხვას და დაუყოვნებლივ ითხოვთ პასუხს, თქვენ გასაუბრობენ სმენითი სწავლის სტილის მქონე პირები, რადგან მათ ყველაზე კარგად აქვთ განვითარებული ზეპირი კომუნიკაციის უნარები. ზემოთ აღწერილი მიდგომა კი, სხვა ტიპის მსწავლებლებსაც აძლევს საშუალებას მოიფიქრონ პასუხი და თავდაჯერებულად წარადგინონ ის.
სმენითი	აუდიოჩანაწერები	მიეცით მსმენელებს არჩევანი - მოუსმინონ აუდიოჩანაწერებს. ეს მიდგომა ეფექტიანი იქნება სხვადასხვა ნოველების ან სახელმძღვანელოების შემთხვევაში (თუ არსებობს მსგავსი შესაძლებლობა).

	<p>სოკრატეს სემინარი</p>	<p>ეს არის დებატების ისეთი სტილი, როცა თავად მსმენელებს მიჰყავთ დისკუსია. ტრენერი შეარჩევს მხოლოდ განსახილველ თემას და შემდგომ, მთლიანი პროცესი მიჰყავთ მსმენელებს. თუ სასწავლო გარემოსაც მოვაწყობთ შესაბამისად, მაგ: სკამებს განვალაგებთ წრიულად, ეს კიდევ უფრო მეტ მსმენელს შეუქმნის დისკუსიაში ჩართვის განწყობას. როგორც წესი, ასეთი დისკუსიები მიჰყავთ სმენითი მოდალობის მქონე პირებს, რადგან მათთვის ეს ძალიან ბუნებრივი და ადვილად შესასრულებელი დავალებაა. ასევე ეს მიდგომა საშუალებას აძლევთ გამოავლინონ საკუთარი უნარები, იყვნენ თავდაჯერებულები და „იბრწყინონ“ აუდიტორიის წინაშე. ამ მეთოდს მეორე მნიშვნელოვანი დადებითი მხარეც აქვს. ის ავითარებს არგუმენტირებული მსჯელობის უნარს მსმენელებში.</p>
	<p>მოხსენებები</p>	<p>ეს არის ტექნიკა, რომელიც ხშირად ძალიან არ უყვარს ბევრ მსმენელს, თუმცა თითქმის ყოველთვის მისაღებია სმენითი მოდალობის მქონე პირებისთვის. მოხსენებები შეიძლება იყოს დაგეგმილი და მოცულობითი, ან იმპულსური და მოკლე. შესთავაზეთ თქვენს მსმენელებს მსგავსი აქტივობები პერიოდულად, ეს დაეხმარება სმენითი მოდალობის მქონე პირებს უფრო აქტიურად ჩაებან სასწავლო პროცესში.</p>
	<p>აუდიოჩანაწერები</p>	<p>მიეცით მსმენელებს უფლება ჩაიწერონ თქვენი ლექციები, რათა შემდგომ დაუბრუნდნენ და მოუსმინონ მათ, ასევე შეგიძლიათ ურჩიოთ, ჩაწერონ საკუთარი თავი (ხმამალა კითხვის დროს) და შემდგომ მოუსმინონ ჩანაწერებს.</p>
	<p>დებატები</p>	<p>სტრუქტურირებული დებატები სმენითი მოდალობის მქონე მსწავლელთათვის მეტად მისაღები აქტივობაა. ეს ტექნიკა ეხმარებათ მათ იდეების განვითარებაში.</p>
<p>კინესთეტიკი (ტაქტილური)</p>	<p>ლაბორატორიები და ექსპერიმენტები</p>	<p>როგორც წესი, ეს მიდგომა საბუნებისმეტყველო საწარმოებს, თუმცა ის წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული სხვა მიმართულებებშიც.</p>

		მაგ: მათემატიკაში, სანამ გაზომვებთან დაკავშირებულ დავალებას მივცემთ მსმენელებს, შესაძლებელია ჯერ ვთხოვოთ, პრაქტიკულად გაზომონ კონკრეტული საგანი და ა.შ.
	სასწავლო ექსპურსიები	როგორც წესი, სიტყვა ექსპურსია გარკვეულ დანახარჯებთან ასოცირდება და ხშირად რთულია მისი გამოყენება სასწავლო პროცესში. თუმცა, ყოველთვის არსებობს საინტერესო ალტერნატივები, რომლითაც ეს მიდგომა შეიძლება განხორციელდეს. მაგ: თუ თქვენ ასწავლით ხელოვნების კურსს ან ფოტოგრაფიას, შეიძლება მსმენელები გაიყვანოთ აუდიტორიის გარეთ და სთხოვოთ ჩანახატის გაკეთება ან ფოტოს გადაღება, ან თუ თქვენ ასწავლით ენებს, შეიძლება გაიყვანოთ მსმენელები საინტერესო გარემოში და სთხოვოთ, აღწერონ ის. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს მეთოდი უკავშირდება არსებული ცოდნა/უნარების გამოყენებით რაღაცის გაკეთებას, რაც კინესთეტიკი მოდალობის მქონე მსმენელებისათვის ძალიან ეფექტიანი აქტივობაა.
	ფიზიკური რეკვიზიტები	გამოიყენეთ რეკვიზიტები და მოდელები სასწავლო პროცესში, რამდენადაც ეს შესაძლებელია. მაგ: თუ ასწავლით ანატომიას, ახსენით ახალი თემა მოდელის ან საკუთარი თავის მაგალითზე (სადაც ეს შესაძლებელია). ასეთი ფორმით გადაცემული ინფორმაცია უკეთ აღქმადი და დასამახსოვრებელია.
	გამოხატეთ თქვენი პოზიცია	ეს ტექნიკა ძალიან კარგად მუშაობს როგორც კინესთეტიკი, ისე სმენითი მოდალობის მქონე პირებთან. მიეცით ღია კითხვა მსმენელებს, რომელზეც მათ უნდა გამოხატონ საკუთარი პოზიცია „ეთანხმებიან“ თუ „არ ეთანხმებიან“. ეს პოზიციები შეგიძლიათ გააკრათ აუდიტორიაშიც. შემდგომ წაიკითხეთ კონკრეტული თეზისი და სთხოვეთ მსმენელებს დაჯგუფდნენ თავიანთი მოსაზრებების შესაბამისად. საერთო პოზიციის მქონე მსმენელები ერთად

არაფორმალური ზრდასრულთა განათლების შიდა გზამკვლევი

		ფიქრობენ საკუთარი პოზიციის მხარდამჭერ არგუმენტაციაზე და შემდგომ წარადგენენ მას ჯგუფის წინაშე.
	როლური თამაშები/სიმულაციები	ეს მეთოდი საუკეთესოა კინესთეტიკი მოდალობის მქონე მსმენელებისათვის. ნასწავლი მასალის ან უნარების განსახიერება ყველაზე უკეთ ეხმარება მათ ინფორმაციის გათავისებასა და დამახსოვრებაში.
	მოხსენებების დემონსტრირება	როგორც აინშტაინის ცნობილი გამონათქვამი ამბობს: „თუ არ შეგიძლია ახსნა მარტივად, ესე იგი არ გესმის საკითხი საკმარისად კარგად“. მიეცით მსმენელებს შესაძლებლობა კონკრეტული თემა/საკითხი აუხსნან აუდიტორიას და თან მოახდინონ გადაცემული ინფორმაციის დემონსტრირება მარტივად. მაგ: სთხოვეთ მსმენელს აუხსნას ჯგუფს თუ როგორ უნდა მომზადდეს რაიმე სალათი. მსმენელმა თან უნდა მოყვეს თეორიული საკითხები და თან, პრაქტიკულად განახორციელოს საკითხის დემონსტრირება.
მულტიმოდლობა	მიეცით არჩევანის შესაძლებლობა	არ აქვს მნიშვნელობა რა თემატიკას ასწავლით, სადაც და როცა ეს შესაძლებელია, შესთავაზეთ მსმენელებს არჩევანის საშუალება დავალების მომზადების ფორმატთან დაკავშირებით. მაგ: იმის ნაცვლად რომ დაავალოთ ესე დაწერა მსმენელებს, შესთავაზეთ პროექტის გაკეთება სხვადასხვა შესაძლო ვერსიით, ეს შეიძლება იყოს: იგივე ესე დაწერა ან მოხსენების გაკეთება აუდიოჩანაწერის გზით (სმენითი მოდალობა) ან პატარა ვიდეოს გადაღება (კინესთეტიკი) ან პოსტერის შექმნა (მხედველობითი მოდალობა).
	ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების და სხვადასხვა აპლიკაციების გამოყენება დაგეხმარებათ სასწავლო პროცესში ყველა მოდალობის მქონე მსმენელის ჩართვაში (ასეთი ინსტრუმენტები მრავალადაა ინტერნეტში და მათი მოძიება თავისუფლად შესაძლებელია).

არაფორმალური ზრდასრულთა განათლების შიდა გზამკვლევი

არსებობს სხვადასხვა ტესტი, რომელიც გვეხმარება დავადგინოთ, თუ რომელი მოდალობისაა ჩვენი მსმენელი. დანართი N1-ში მოცემულია ასეთი ტესტის ნიმუში, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ თქვენს სასწავლო საქმიანობაში.

თავი 3: ზრდასრულთა სწავლების ეფექტიანი სტრატეგიები

ტრენინგი ეფექტიანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ხელს უწყობს სწავლას და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. ტრენერი არა მხოლოდ საკმარისად კომპეტენტური უნდა იყოს უშუალოდ სწავლების საგანში, არამედ კარგად უნდა ესმოდეს, თუ როგორ სწავლობენ მსმენელები. ეს კი გულისხმობს მასწავლებლის ტრადიციული როლის, როგორც უპირატესად ცოდნის მიმწოდებლის, შეცვლას (პედაგოგიკიდან) სწავლის პროცესის ფასილიტატორით, სადაც ტრენერი სწავლების პროცესს მართავს სხვადასხვა მეთოდების, ინფორმაციის წყაროების და მასალების გამოყენებით (ანდრაგოგიკისკენ).

ამჟამად უკვე არსებობს კარგად დამუშავებული მიდგომები, რომელთა გამოყენებაც დაგეხმარებათ სასწავლო პროცესის უკეთ დაგეგმვასა და წარმართვაში. ქვემოთ წარმოგიდგენთ იმ რამდენიმე მნიშვნელოვან სტრატეგიას, რომელიც ზრდასრულთა განათლებაში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

1. ძირითადი წესები

სასწავლო პროცესის დაწყების წინ ან პირველივე სესიაზე მნიშვნელოვანია დაადგინოთ **შეთანხმებული წესები**, რომლებითაც იხელმძღვანელებთ სწავლების პროცესში. ეს აუცილებლად უნდა განხორციელდეს ტრენერსა და მსმენელს შორის თანამშრომლობის გზით. არსებობს წესების შემუშავების რამდენიმე გზა: შესაძლებელია ტრენერმა თვითონ შესთავაზოს წესების ჩამონათვალი მსმენელებს და მათ ამ ჩამონათვალიდან აირჩიოს ისინი, რომლებიც მისაღებია ან შეიძლება ტრენერმა წესების შემუშავება დაიწყოს სუფთა ფურცლიდან - ანუ მისცეს სრული თავისუფლება მსმენელებს და მათგან მოწოდებული იდეებისგან შექმნას წესების საბოლოო,

არაფორმალური ზრდასრულთა განათლების შიდა გზამკვლევი

შეთანხმებული ვერსია. აქ შეიძლება გაჩნდეს ლეგიტიმური კითხვა: რატომ არის ასეთი მნიშვნელოვანი წესების შემუშავება ზრდასრული ადამიანებისთვის? ან რატომ არის საჭირო ძირითადი წესების დადგენა სასწავლო სენსებისთვის? პასუხი მარტივია:

- წესები მსმენელებისთვის ქმნის “უსაფრთხო” გარემოს, ვინაიდან მათ იციან, თუ რას უნდა მოელოდნენ ტრენერისგან ან სხვა მსმენელებისგან;
- წესები უზრუნველყოფს ყველა პირის თანაბარ ინფორმირებულობას იმ სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ, რომელიც საფუძვლად უდევს სასწავლო სესიას (სასწავლო პროცესის თითოეულ მონაწილეს აქვს საერთო გაგება იმისა, თუ რა ხდება);
- სწავლების პროცესის მიმდინარეობისას წესები გვეხმარება შევინარჩუნოთ სწორი კურსი;
- წესების ფორმირების პროცესში ყველას შეუძლია გამოხატოს ინიციატივა. შესაბამისად, მეტია ალბათობა, რომ ადამიანები მათ მიერ შექმნილ წესებს უფრო უკეთ დაემორჩილებიან.

2. კომფორტული და უსაფრთხო სასწავლო გარემო

სასწავლო გარემოს უნდა ახასიათებდეს ფიზიკური კომფორტი, ურთიერთნდობა და პატივისცემა, მზაობა ურთიერთდახმარებისათვის, გამოხატვის თავისუფლება და განსხვავებათა აღიარება-მიღება. ამისათვის აუცილებელია შემდეგი ფაქტორების არსებობა:

- ტრენერმა უნდა უზრუნველყოს ისეთი ფიზიკური გარემო პირობები, რომლებიც არის კომფორტული (მაგიდების და სკამების განლაგება, ტემპერატურა, განათება, ვენტილაცია) და ინტერაქტიული (არავინ არ ზის სხვის უკან);
- ტრენერმა უნდა აღიაროს თითოეულ მსმენელი, როგორც ღირსეული ადამიანი და პატივი სცეს მის გრძნობებს და მოსაზრებებს;
- ტრენერი ხელს უწყობდეს თანამშრომლობით საქმიანობებს და თავს იკავებდეს კონკურენციის წაქეზებისა და შეფასებითი გადაწყვეტილებების მიღებისგან;
- ტრენერმა თავისი რესურსები წვლილის სახით უნდა შეიტანოს, როგორც თანამოსწავლემ/თანამონაწილემ სწავლა-სწავლების ერთობლივ პროცესში;

არაფორმალური ზრდასრულთა განათლების შიდა გზამკვლევი

- სასურველია ტრენერმა მონაწილეებს მიმართოს სახელით. შესაძლოა ეს რეკომენდაცია ძალიან მარტივი მოგეჩვენოთ, მაგრამ მსმენელების თვითშეფასებაზე და მათ ჩართულობაზე უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს.

უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნის კიდევ ერთი დადებითი მხარეა ის, რომ ამ დროს იზრდება მსმენელთა შინაგანი მოტივაცია. კერძოდ, გარემო, სადაც მსმენელებს თავისუფლად შეუძლიათ გამოთქვან საკუთარი აზრი ან ეჭვები, დასვან კითხვები, გააზიარონ საკუთარი გამოცდილება, ეხმარება და უბიძგებს მათ აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში.

3. მსმენელები სწავლის მიზნებს უნდა აღიქვამდნენ, როგორც საკუთარ მიზნებს

სწავლების პროცესში ზრდასრულები საკუთარ თავს ხშირად უსმევენ შემდეგ კითხვებს:

- რატომ მჭირდება ეს კონკრეტული ინფორმაცია?
- რა სარგებელს მივიღებ ყოველივე ამისგან?
- როგორ გამოვიყენებ ამ ყველაფერს რეალურ ცხოვრებაში/სამსახურში?
- როგორ დამეხმარება მიღებული ცოდნა/უნარები გავხდე უკეთესი პროფესიონალი?

იმისათვის, რომ ტრენერი დაეხმაროს მათ ამ კითხვებზე პასუხის გაცემაში, შესაძლებელია შესთავაზოს კურსის დასაწყისში შემდეგი აქტივობის განხორციელება:

აქტივობა 1: წარმოიდგინეთ, რომ უყურებთ თქვენს თავს 5 წლის შემდეგ (დროითი პერიოდი შეიძლება შეიცვალოს. ეს არ არის გადამწყვეტი ამ შემთხვევაში). რას ხედავთ? როგორი ხართ? რა მიღწევები გაქვთ პირად/პროფესიულ ცხოვრებაში? (მონაწილეების ასახელებენ ძირითად მიღწევებს კარიერაში/პირად ცხოვრებაში/ ინტერესების სფეროში, რომელსაც ფიქრობენ რომ მიაღწევენ ამ პერიოდის გასვლის შემდეგ). ტრენერი სთხოვს მსმენელებს ჩამოთვალონ რამდენიმე სწავლის შედეგი - ცოდნა ან/და უნარი, რომელიც, მათი აზრით, დაეხმარათ მათ ამ სასურველი მდგომარეობის მიღწევაში. (მსმენელები წერენ სწავლის შედეგებს). ამის შემდეგ ტრენერი აცნობს კურსის მიზნებსა და სწავლის შედეგებს ზრდასრულებს და სთხოვს განსაზღვრონ კავშირი კონკრეტული კურსის მიზნებსა და მათ სამომავლო მიზნებს შორის. ტრენინგის მონაწილეები იწყებენ კურსის მიზნებსა და საკუთარ მიზნებს შორის კავშირის დამყარებას და აცნობიერებენ და ნათლად ხედავენ, თუ როგორ შეიძლება გამოიყენონ კურსის განმავლობაში მიღებული ცოდნა

არაფორმალური ზრდასრულთა განათლების შიდა გზამკვლევი

პრაქტიკაში და როგორ მიიყვანს კურსის მიზნების რეალიზაცია მათ საბოლოო მიზნების რეალიზაციამდე.

4. სწავლების პროცესს კავშირი უნდა ჰქონდეს მოსწავლეების გამოცდილებასთან და ეყრდნობოდეს ამ გამოცდილებას.

ტრენერის წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული უნარზე - ააგოს სასწავლო მასალა მსმენელის გამოცდილებაზე დაყრდნობით და მისცეს ზრდასრულებს საშუალება, თავიანთ გამოცდილებაზე დააშენონ ახალი ცოდნა. ასევე მეტად მნიშვნელოვანია მსმენელებს მივცეთ სწავლის პროცესში კონტრიბუციის შეტანის საშუალება. როცა ზრდასრულებს ვთხოვთ გაგვიზიარონ მათი გამოცდილება კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში, ამით მათი თვითშეფასების ამაღლებასაც ვუწყობთ ხელს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზრდასრულებს ურჩევნიათ მიიღონ ცოდნა რეალური და მათ საქმიანობასთან დაკავშირებული ქეისების/მაგალითების განხილვის საფუძველზე, ვიდრე მხოლოდ თეორიული საკითხების შესახებ, რადგან პრაქტიკული მაგალითების განხილვა საშუალებას აძლევთ გამოიყენონ ამ დრომდე დაგროვილი გამოცდილება. ქვემოთ წარმოგიდგენთ რამდენიმე სტრატეგიას, რომელიც დაგეხმარებათ ზრდასრულთა წინარე ცოდნა და გამოცდილება აქტიურად ჩართოთ და გამოიყენოთ სწავლების პროცესში:

- სესიების მსვლელობისას სთხოვეთ მონაწილეებს გაგიზიარონ შესაბამისი გამოცდილება;
- ტრენინგის დასაწყისში და დასასრულს შეავსებინეთ ცხრილი: „რა ვიცი, რა მინდა ვიცოდე და რა ვისწავლე“ (იხ. დანართი N2);
- გამოცდილების გაზიარების მიზნით, დაგეგმეთ მუშაობა წყვილებში ან მცირე ჯგუფებში;
- მოამზადეთ კითხვები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალი ცოდნის ზედაპირზე ამოტანას და მასზე ინტერესის გაღვივებას.

როცა ვსაუბრობთ წარსული გამოცდილების სასწავლო პროცესში გამოყენებაზე, არ უნდა დაგვავიწყდეს საფრთხე, რომელიც ამ პროცესს ახლავს თან. ეს არის შემთხვევა, როცა მსმენელთა წარსული გამოცდილება კონფლიქტში მოდის ახალ შესასწავლ მასალასთან. როგორ უნდა მოიქცეს ტრენერი ამ შემთხვევაში? ამ პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია მონაწილის თვითშეფასებას არ მიადგეს ზიანი. ტრენერი უნდა შეეცადოს შეინარჩუნოს უსაფრთხო სასწავლო გარემო და მაქსიმალურად დელიტაკურად გამოიყვანოს მსმენელი შექმნილი უხერხულობიდან.

არაფორმალური ზრდასრულთა განათლების შიდა გზამკვლევი

ერთ-ერთი სახელმძღვანელოში მოცემულია რჩევა, რომ სესიის მსვლელობისას ნაცვლად კითხვისა: „როგორ აკეთებთ თქვენ ამას“ მონაწილეებს დაუუსვათ კითხვა: „როგორ კეთდება ეს?“ ასეთ შემთხვევაში მონაწილეებს შეუძლიათ ზოგადად ისაუბრონ საკუთარ გამოცდილებაზე და თავი არ იგრძნონ უხერხულად, თუ ეს გამოცდილება არ იქნება შესაბამისობაში ახალ მასალასთან.

5. მსმენელს უნდა ჰქონდეს შეგრძნება, რომ იგი წინ მიიწევს მის მიერ დასახული მიზნებისკენ. ამისთვის:

მიზანშეწონილია სწავლების პროცესში მუდმივად ხორციელდებოდეს რეფლექსია. ტრენერმა პერიოდულად უნდა დაუსვას მსმენელებს შემდეგი კითხვები:

- რა იყო საინტერესო?
- რა იყო ახალი თქვენთვის?
- სად იგრძნოთ დისკომფორტი? რატომ?
- როგორ მოგეწონათ გამოყენებული ტექნიკები (მეთოდები)?
- რამ იმუშავა კარგად? რამ არ იმუშავა კარგად?
- რა იყო მოულოდნელი?
- რა იყო აღმაფრთოვანებელი?
- რა ახალ იდეებამდე მიხვედით?
- რა ისწავლეთ საკუთარი თავის და საკუთარი სამუშაო პრაქტიკის შესახებ?
- თავიდან რომ იწყებდეთ ამ საქმის (დავალების და ა.შ.) კეთებას, რას გააკეთებდით სხვანაირად? რას შეცვლიდით? და ა.შ.

მნიშვნელოვანია ტრენერმა შეახსენოს მსმენელებს, რომ რეფლექსია მხოლოდ მაშინ არის ღირებული, თუ ის ხორციელდება გულწრფელად. ამასთან, ამ დროს არ არსებობს სწორი ან არასწორი პასუხი. შესაბამისად, მათ შეუძლიათ სრულიად თავისუფლად გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები.

ამ კუთხით საინტერესო აქტივობაა ასევე თვითშეფასების კითხვარის შევსება სწავლების

არაფორმალური ზრდასრულთა განათლების შიდა გზამკვლევი


დაწყების წინ, პროცესში და დასრულების შემდგომ. თვითშეფასების კითხვარში უნდა აისახოს ინფორმაცია, თუ როგორ მიმდინარეობს სწავლის პროცესი თითოეული მსმენელისთვის, აღწევს თუ არა ის ტრენინგით/კურსით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს და სად აქვს ჩამორჩენა ან პროგრესი.

6. წახალისეთ მონაწილეები გასწიონ რისკი და ისწავლონ შეცდომებზე.

სამწუხაროდ, ჩვენს კულტურაში არ არის წახალისებული რისკის გაწევა და შეცდომების დაშვება, რის გამოც ადამიანები, რომლებსაც აქვთ ახალი იდეები ან წამოწყებები, პირველივე წარუმატებლობაზე მარტივად ნებდებიან. ტრენერის ვალია თითოეულ მონაწილეს მუდმივად შეახსენოს, რომ წარმატება არ მოდის მარტივად და რომ ამ გზაზე ხშირია შეცდომები, თუმცა ეს სრულიად ნორმალური და მისაღებია. სწავლების პროცესში ტრენერმა უნდა წახალისოს მონაწილეები, რომ გასწიონ რისკი, გამოიყენონ ახალი მიდგომები და მეთოდები, პრაქტიკაში გამოიყენონ ახალი ცოდნა და უნარები და თუ ამ პროცესში დაუშვებენ შეცდომებს, ეს იქნება სავსებით ბუნებრივი და მისაღები, ეს არ გახდება მათი გაკილვის მიზეზი და არ იმოქმედებს მათ შეფასებაზე. პირიქით, შეცდომების დაშვება, მათი ანალიზი და შეცდომებზე სწავლა საუკეთესო მიდგომაა, რაც შეიძლება დანერგონ საკუთარ პრაქტიკაში.

7. სწავლის პროცესში გამოიყენეთ შეგრძნებათა კომბინაცია

ადამიანების ტვინის მუშაობის სტიმულირება ხდება გრძნობის ორგანოების გამოყენებით. რაც უფრო მეტია შეგრძნებების კომბინაცია, უფრო მაღალია სწავლის წარმატების ალბათობა. კვლევებით დადგენილია, რომ დასწავლის პროცესი შეიძლება იყოს მეტად ან ნაკლებად ეფექტიანი იმის მიხედვით, თუ სწავლების რომელ გზას/მეთოდს ირჩევს ტრენერი. კერძოდ, ზრდასრული სწავლობს:



სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, სწავლების პროცესში ტრენერმა გამოიყენოს კომპლექსური მიდგომები და უპირატესობა მიანიჭოს პრაქტიკული დავალებების შესრულებას.

8. გახსოვდეთ ყურადღების დიაპაზონი

ყურადღება მნიშვნელოვან როლს თამაშობს სწავლის პროცესში. ტიპურ ტრენინგზე/სესიაზე, სადაც მხოლოდ ტრენერი ლაპარაკობს, მსმენელთა ყურადღება მობილიზებული და შენარჩუნებულია პირველი 10-12 წუთის განმავლობაში, რის შემდეგაც ის მნიშვნელოვნად ეცემა. 20 ან მეტი წუთის შემდეგ ყურადღება საერთოდ იკარგება. ეს ფაქტი აჩვენებს, რომ თუ ტრენერი დიდხანს ილაპარაკებს და არ მისცემს მსმენელებს მონაწილეობის შესაძლებლობას, სესია/ტრენინგი არაეფექტური იქნება. ზოგიერთი ტრენერი ფიქრობს, რომ მისი მხრიდან მეტი ჩართულობა ნიშნავს მეტ სწავლას. ეს მიდგომა აშკარად არასწორია. როგორც ტრენერი, თქვენ უნდა იყოთ მზად სწავლების მეთოდის შესაცვლელად ყოველ 15-20 წუთში ერთხელ, რათა უზრუნველყოთ თქვენი მსმენელების მთელი ყურადღების მობილიზება. ამ შემთხვევაში სწავლების პროცესში ლექციის მაგივრად გამოიყენეთ **ინტერაქტიული ლექციის ფორმატი**, რაც გულისხმობს, ლექციის ახსნის პროცესში სტუდენტების ჩართულობის მექანიზმების გამოყენებას და სულ მცირე ერთი პრაქტიკული აქტივობის განხორციელებას.

არაფორმალური ზრდასრულთა განათლების შიდა გზამკვლევი

9. და ბოლოს, გამოიყენეთ იუმორი

იუმორის გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია სწავლის პროცესში, რადგან ის იწვევს გონების ერთგვარ „გადატვირთვას“, მუხტავს დაძაბულ სიტუაციებს, ანეიტრალებს სტრესს და შექმნილ უხერხულობას. ხშირად კი ადამიანები ყველაზე უკეთ იუმორის მეშვეობით სწავლობენ. ამიტომ გამოიყენეთ იუმორი თქვენს სასწავლო პრაქტიკაში, მოყვებით საკუთარ თავთან დაკავშირებული ანეგდოტი ან იუმორისტული შემთხვევა. ეს მიდგომა დაგეხმარებათ მოიპოვოთ აუდიტორიის ნდობა.

თავი 4: 11 ფსიქოლოგიური ასპექტი, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ ზრდასრულებთან მუშაობისას

გზამკვლევის წინა თავებში განხილული იქნა ზრდასრულთა განათლების ძირითადი პრინციპები და მახასიათებლები, რომლებიც ამ ტიპის მსწავლებლებს, და შესაბამისად სწავლების პროცესს განასხვავებს ბავშვებისა და მოზარდების სწავლებისგან. ამ თავში კი საუბარი იქნება იმ 11 ძირითად ფსიქოლოგიურ ასპექტზე, რომლებიც უნდა გავითვალისწინოთ ზრდასრულთა სწავლების პროცესში. აღნიშნული ასპექტები დადგენილი იქნა ნეიროფსიქოლოგიური, ნევროლოგიური და ფსიქოლოგიური კვლევების საფუძველზე, ასევე „სტრეს-მენეჯმენტთან“ დაკავშირებული კვლევების ფარგლებში.

ქვემოთ განხილულია ადამიანის ტვინის 11 უნიკალური მახასიათებელი, ხოლო შემდეგ მოცემულია რეკომენდაციები ზრდასრულთა განათლების ტრენერისთვის, სწავლების პროცესში თითოეული ამ თვისების შესაძლო გამოყენებასთან დაკავშირებით.

1. ტვინი არის კომპლექსური ადაპტირებადი სისტემა - ადამიანის ტვინის ერთ-ერთი

უნიკალური თვისება არის ის, რომ მას შეუძლია ერთდროულად იმუშაოს აზროვნების სხვადასხვა დონეზე. ფიქრები, გრძნობები, ფანტაზიები, გარემოებები და შინაგანი ფიზიოლოგიური მდგომარეობა მუდმივად ზემოქმედებს ერთმანეთზე. ამასთან, ჩვენი ფსიქიკური სისტემა მთლიანობაში ურთიერთქმედებაშია გარემომცველ სამყაროსთან და

არაფორმალური ზრდასრულთა განათლების შიდა გზამკვლევი

მუდმივად ცვლის მასთან ინფორმაციას. ანუ ზრდასრული ადამიანის ფსიქიკა მუდმივ კავშირში და ურთიერთქმედებაშია ადამიანის შინაგან და გარეგან სამყაროსთან.

პრაქტიკული რეკომენდაციები ზრდასრულთა ტრენერს: სასწავლო პროცესი უნდა იყოს სტრუქტურირებული იმგვარად, რომ ითვალისწინებდეს გონებრივი აქტივობების სხვადასხვა ასპექტებს. არ არსებობს ერთი უნიკალური სასწავლო მეთოდი ან ტექნიკა, რომელიც სრულებით ფარავს და ითვალისწინებს ადამიანის ინტელექტუალური შესაძლებლობების სრულ სპექტრს. ამიტომ მას, ვისაც უნდა სწორად დაგეგმოს და განახორციელოს სასწავლო პროცესი, უნდა შეეძლოს არსებული მრავალფეროვანი სასწავლო აქტივობებიდან ამოარჩიოს ის მეთოდები/მეთოდები, რომელიც შეესაბამება კონკრეტულ სიტუაციას და კონკრეტულ მსწავლელთა ჯგუფის თავისებურებებს.

2. ჩვენი ფსიქიკა, თავისი ბუნებით, სოციალურია - დაბადებიდანვე ადამიანი სამყაროს

შეიმეცნებს მასთან უშუალო კონტაქტის გზით. პირველი შეხება პატარას აქვს ახლობელ ადამიანებთან, ხოლო შემდეგ, მთელი ცხოვრების მანძილზე ადამიანის ფსიქიკა მუდმივად იცვლება გარესამყაროსთან ურთიერთობის შედეგად. ამიტომ სწავლების პროცესშიც, ინდივიდი არ შეიძლება განვიხილოთ იზოლირებულად, ჩვენ ყოველთვის უნდა ვხედავდეთ მას, როგორც სოციალური სისტემის ნაწილს.

პრაქტიკული რეკომენდაციები ზრდასრულთა ტრენერს: ძირითად შემთხვევებში ჩვენი იდენტობა დამოკიდებულია იმაზე, ვგრძნობთ თუ არა კუთვნილებას სხვა ადამიანების მიმართ და გვაქვს თუ არა საშუალება მათთან შევიდეთ კონტაქტში. ამიტომ მნიშვნელოვანია, სასწავლო ჯგუფში შენარჩუნებული იქნას „მიმღებლობის“ ატმოსფერო. მონაწილეებს სურთ ერთმანეთთან ურთიერთობა ერთმანეთთან და ტრენერთან კარგი დამოკიდებულების შენარჩუნება. რა თქმა უნდა აღნიშნული დებულება არ ნიშნავს იმას, რომ ეფექტურ ჯგუფებში არ არსებობს კონფლიქტური სიტუაციები, მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი, მონაწილეებს უნდა ჰქონდეთ მოლოდინი, რომ მონახვევნი კომპრომისს. ზრდასრულებისთვის მნიშვნელოვანია ისწავლონ კონფლიქტების მართვა და გამოიმუშაონ რთულ სიტუაციებთან გამკლავების უნარი.

არაფორმალური ზრდასრულთა განათლების შიდა გზამკვლევი

3. სწავლება დამოკიდებულია ფიზიოლოგიაზე - ტვინი არის ორგანო, რომელიც მუშაობს ფიზიოლოგიური კანონების შესაბამისად. სწავლის პროცესი ისეთივე ბუნებრივი მოვლენაა, როგორც სუნქთვა, მაგრამ სუნთქვისგან ან სხვა ფიზიოლოგიური პროცესებისგან განსხვავებით, ჩვენ შეგვიძლია ტვინზე რეაგირება და მისი პროცესების შენელება ან დაჩქარება. მიღებული გამოცდილების გააზრება და შეცნობა ჩვენს ტვინს ეხმარება შემდგომ განვითარებაში. ჩვენი შეგრძნებები ასევე ახდენს გავლენას ტვინზე, ამასთან მათი გავლენა განსხვავდება ერთმანეთისგან. მაგ: სტრესი და შიში უარყოფითად მოქმედებს ტვინის განვითარებაზე, მაშინ, როცა აზარტი, უსაფრთხოების შეგრძნება და ბედნიერება - ახდენს დადებით გავლენას.

პრაქტიკული რეკომენდაციები ზრდასრულთა ტრენერს: ყველაფერი, რაც ახდენს გავლენას სხეულზე - მაგ: სტრესი, კვების თავისებურებები, დასვენება - მნიშვნელოვნად ზემოქმედებს სწავლის პროცესზე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ არსებობს სწავლებისათვის ეფექტური და ნაკლებად ეფექტური დრო. ეს უკანასკნელი განისაზღვრება ადამიანის ინდივიდუალური ბიოლოგიური რიტმითა და ციკლით. სასწავლო გარემოს მოწყობის დროს მნიშვნელოვანია ტრენერის მიერ მოხდენს ამ ფაქტორების გათვალისწინება.

4. სწავლის პროცესი ეფუძნება ნაცნობ, წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის მშენებლობას - ადამიანის ტვინი ავტომატურად რეაგირებს იმ ფაქტორებზე, რომლებიც მისთვის უკვე ნაცნობია, ამასთან მუდმივად ეძებს ახალ ინფორმაციას. გარშემო მყოფი საგნებიდან, მოვლენებიდან ტვინი გამოყოფს მისთვის ნაცნობ დეტალებს და ამ დეტალებზე დაყრდნობით აგებს ცოდნის ახალ სქემებს. ტვინი ხშირად უარს ამბობს ისეთი ინფორმაციის ათვისებაზე, რომელიც არ უკავშირდება წარსულ გამოცდილებას. ინფორმაცია, რომელსაც ვერ ვუკავშირებთ ადრე მიღებულ გამოცდილებას, ხშირად კარგავს მნიშვნელობას ადამიანისთვის.

პრაქტიკული რეკომენდაციები ზრდასრულთა ტრენერს: სწავლების პროცესში მონაწილეები მუდმივად აღნიშნავენ მათთვის ნაცნობ საკითხებს, პარალელს ავლებენ საკუთარ გამოცდილებასთან და მოჰყავთ მაგალითები. ტრენერებს ამ პროცესის შეჩერება არ შეუძლიათ, მაგრამ შეუძლიათ მასზე ზეგავლენის მოხდენა და ამ პროცესის სწავლებისათვის სასარგებლოდ გამოყენება. ამისთვის აუცილებელია ყოველ შესასწავლ საკითხთან მიმართებაში ვკითხოთ მსწავლებლებს თუ ჰქონიათ ადრე მსგავსი გამოცდილება ან პრაქტიკა? ასეთი კითხვები

არაფორმალური ზრდასრულთა განათლების შიდა გზამკვლევი

ააქტიურებს მსმენელთა მეხსიერებას, მსმენელები იწყებენ ძველი გამოცდილების გახსენებას და უადვილდებათ ახალი მასალის მასთან დაკავშირება, მასზე დაშენება.

მნიშვნელოვანია, ყოველი სასწავლო კურსის აგების დროს გამოყენებული იქნას ცოდნის დაშენების მეთოდი და ტრენინგები/კურსები/სემინარები დაიწყოს მონაწილეთა წარსული გამოცდილების გაზიარებით.

5. სწავლების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს გრძნობები - ყველაფერზე, რასაც ვსწავლობთ უდიდეს გავლენას ახდენს ჩვენი ემოციები, ფიქრები, გრძნობები, თვითპატივისცემა და სოციალური კავშირებისადმი კუთვნილების მოთხოვნილება. ფიქრები და ემოციები ურთიერთდაკავშირებულია და ერთმანეთისგან განუყოფელია. ჩვენი ემოციური მდგომარეობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ჩვენს აღქმას.

პრაქტიკული რეკომენდაციები ზრდასრულთა ტრენერს: ყველა ტრენერმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მსმენელთა გრძნობები და სასწავლო გარემო სწავლების პროცესში თამაშობს უმნიშვნელოვანეს როლს. ამიტომ ტრენერი მუდმივად უნდა ცდილობდეს კეთილგანწყობილი ატმოსფეროს შექმნას და თვალყურს ადევნებდეს ჯგუფის ემოციურ კლიმატს, ემოციურ განწყობას. გახსნილი კომუნიკაცია საშუალებას უნდა აძლევდეს ჯგუფის ყველა მონაწილეს გამოთქვას თავისი მოსაზრება დაუბრკოლებლად. მონაწილეს არ უნდა ეშინოდეს ჯგუფის მხრიდან მიუღებლობის ან მისი აზრის გაკრიტიკების, ამისთვის აუცილებელია ურთიერთმხარდაჭერის და ურთიერთპატივისცემის ატმოსფეროს შექმნა სასწავლო ჯგუფში.

6. ინფორმაციის მიღებისას ტვინი ერთდრულად ახდენს მის დიფერენცირებას და გამთლიანებას - ტრადიციული მიდგომა მარჯვენა და მარცხენა ტვინის სფეროებზე, დღეს უკვე მოძველებულია. ზრდასრულ ადამიანებში ტვინის ორივე ნახევარსფერო ერთნაირად მუშაობს ნებისმიერი აქტივობის შესრულების დროს, იქნება ეს ხატვა, მუსიკა, კომპიუტერზე მუშაობა და ა.შ. ცნობილია, რომ ტვინი მიღებულ ინფორმაციას ანაწევრებს და ამავე დროს ცდილობს მთლიანობაში აღიქვას ის.

არაფორმალური ზრდასრულთა განათლების შიდა გზამკვლევი

პრაქტიკული რეკომენდაციები ზრდასრულთა ტრენერს: სწავლების პროცესი ხდება მეტად არაეფექტური მაშინ, როცა ყურადღება ექცევა მხოლოდ დეტალებს ან მხოლოდ მთლიანობის წარმოჩენას. ეფექტიანი სასწალო პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ მონაწილეებს ცოდნა მიეწოდებათ თანდათან, გაგების პროცესიც დგება თანდათან, მაგრამ ამავე დროს მონაწილეები ხედავენ ცოდნის მთლიან სურათს და იციან, საბოლოოდ სად უნდა მივიდნენ.

7. როცა რამეზე ვახდენთ კონცენტრირებას, ჩვენ ამავე დროს აღვიქვამთ იმასაც, რაც არ არის ჩვენი ყურადღების ცენტრში - ტვინი აღიქვამს არა მარტო იმ ინფორმაციას, რომელიც პირდაპირ მისთვის არის გაგზავნილი, არამედ იმასაც, რომელიც მეორეხარისხოვანია და თითქოს - შეუმჩნეველიც. ტვინი რეაგირებს ყველა გამღიზიანებელზე, რომელიც მოდის გარე სამყაროდან. გაუცნობიერებელი სიგნალები გამოხატავს ჩვენს შინაგან მდგომარეობას, ასევე ჩვენს გრძნობებსა და დამოკიდებულებებს გარშემომყოფთა მიმართ (მიმიკა, ქესტიკულაცია, ემოციები).

პრაქტიკული რეკომენდაციები ზრდასრულთა ტრენერს: ტრენერი უნდა შეეცადოს რომ შექმნას კეთილგანწყობილი გარემო ჯგუფში. მხოლოდ ხმაურის კონტროლი არაა საკამრისი, განათება და ტემპერატურა ასევე მნიშვნელოვანია. სასურველია გამყენებული იქნას პლაკატები, ვიზუალური მასალები, შესაძლოა ჩართული იყოს სასიამოვნო, დაბალი მუსიკა. და რაც მთავარია, უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ მუდმივად ვუგზავნით მონაწილეებს იმპულსებს ჩვენი მათდამი დამოკიდებულების, განწყობების, გრძნობების შესახებ, რომლებსაც ისინი აღიქვამენ და რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საწვლების პროცესზე.

8. ჩვენ გვაქვს განსხვავებული უნარები დავიმახსოვროთ ინფორმაცია - ამერიკელმა

მეცნიერებმა ოკიფემ და ნადელმა წამოაყენეს ჰიპოთეზა, რომ ადამიანს აქვს ორი ტიპის მახსოვრობა. ერთი ტიპის მახსოვრობა იმახსოვრებს დანაწევრებულ ინფორმაციას, მაგ: წლები, თარიღები, ადგილები, ტელეფონის ნომრები, სიტყვები, ლექსები და ა.შ. ამასთან ერთად ჩვენ გვაქვს მეორე ტიპის მახსოვრობის სისტემა, რომელსაც ქვია ე.წ. “ავტობიოგრაფიული”. ის ინახავს ჩვენს გამოცდილებას დროსა და სივრცეში. ამ შემთხვევაში ჩვენ არ გვჭირდება არაფრის დაზეპირება. ჩვენ უპრობლემოდ ვიხსენებთ ჩვენი შვებულების პირველ დღეს ან იმ საშინელ შემთხვევას, როცა დაზიანდა ჩვენი კომპიუტერის მყარი დისკი. ამ ტიპის მეხსიერება მუდმივად აქტიურია და მუდმივად რაღაცას იმახსოვრებს.

არაფორმალური ზრდასრულთა განათლების შიდა გზამკვლევი

პრაქტიკული რეკომენდაციები ზრდასრულთა ტრენერს: მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო ინფორმაციის დამახსოვრება ხდება სხვადასხვაგვარად. ადამიანებს უჭირთ დაიმახსოვრონ განცალკევებული ფაქტები. ასევე, მათი მეხსიერებაში შესანახად საჭიროა მუდმივი ვარჯიში და გამეორება. რაც უფრო ნაკლებად უკავშირდება ასეთი ფაქტები ჩვენს გამოცდილებას, მით უფრო რთულია მათი დამახსოვრება. დიდი ხნის განმავლობაში ინფორმაციის დაზეპირება ითლებოდა სწავლების საუკეთესო მეთოდად. დღეს ამ საკითხზე სხვა შეხედულებებია. ფაქტების დაზეპირება არ გვაძლევს გარანტიას, რომ მსწავლელმა რეალურად გაიგო საკითხი და რეალურად მოხდა ცოდნის გადაცემა. ხშირ შემთხვევაში დაზეპირება ხელს უშლის საკითხის სიღრმისეულ გააზრებას. სწავლების პროცესი გაცილებით ნაყოფიერია მაშინ, როცა ის დაკავშირებულია მსწავლელის პირად გამოცდილებასთან და პრაქტიკასთან, ამიტომ სწავლების დაგეგმვის პროცესში მნიშვნელოვანია, მეტი პრაქტიკული დავალებების გამოყენება. სწავლის პროცესი უნდა დაეფუძნოს ისეთ აქტივობებს, როგორცაა: დემონსტრირება, პროექტები, როლური თამაშები, დისკუსიები და სხვ.

9. სწავლა გრძელდება მთელი სიცოცხლის მანძილზე - ტვინის განვითარება მიმდინარეობს სხვადასხვა დონეზე. ერთი მხრივ, ყველა ბავშვი გადის განვითარების განსაზღვრულ ეტაპებს, მაგ: მოტორიკის ჩამოყალიბება, ვერბალური უნარები და სხვ. ამ ეტაპებზე ის განსაკუთრებით მიდრეკილია ამათუიშ უნარისადმი და განსაკუთრებულად იოლად ითვისებს მას. მეორე მხრივ, ჩვენს ტვინზე გავლენას ახდენს გამოცდილება, რომელსაც ვიღებთ ცხოვრების მანძილზე. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია - ჩვენი ტვინის განვითარებას არ აქვს საზღვარი! ჩვენ მუდამ შეგვიძლია ვისწავლოთ ახალი და განვითარდეთ. ტვინს ყველა ასაკში შეუძლია ახალი კავშირების დამყარება.

პრაქტიკული რეკომენდაციები ზრდასრულთა ტრენერს: ბავშვებისა და მოზარდებისთვის სწავლის პროცესში მნიშვნელოვანია რომ გახდნენ დიდები და დამოუკიდებლები, მაშინ როცა ზრდასრულების სჭირდებათ სხვა სახის სტიმულები. კერძოდ, მათთვის გადაამწყვეტია სწავლების პროცესი იყოს საინტერესო და სასიამოვნო, ასევე აუციელებელია თავი იგრძნონ სოციუმის საჭირო და სასარგებლო წევრებად.

არაფორმალური ზრდასრულთა განათლების შიდა გზამკვლევი

10. აზარტი გვეხმარება სწავლის პროცესით დაინტრესებაში, ხოლო მუქარა - ხელს

გვიშლის - ჩვენ კარგად ვსწავლობთ მაშინ, როცა ვდგებით გარკვეული გამოწვევების წინაშე და სურვილი გვაქვს გადავლახოთ ისინი, მაგრამ, როგორც კი ჩვენი ტვინი იგრძნობს საფრთხეს, ჩვენ ვწყვეტთ შემეცნების პროცესს და ვეძებთ თავშესაფარს, რათა თავი ავარიდოთ განსაცდელს.

პრაქტიკული რეკომენდაციები ზრდასრულთა ტრენერს: სწავლის პროცესში უნდა შევქმნათ გარემო, სადაც არის ბევრი სტიმული და ნაკლები შიში. გარკვეული დოზით სტრესი გარდაუვალია. სწავლების პროცესი ყოველთვის დაკავშირებულია სიახლეების მიღებასა და ათვისებასთან, ეს კი ადამიანს უქმნის დისკომფორტს და გარკვეულწილად უღვივებს შიშს, რამდენად დამღვეს ის ახალ მასალას. როგორც წესი ეს ხდება სწავლების თავდაპირველ ეტაპზე, სანამ მონაწილეები გაეცნობიან ძირითად თემატიკას, სწავლების მიდგომებს და გარემოს, სადაც მოუწევთ სწავლა. აღნიშნული სტრესი საშიში ხდება მაშინ, როცა ის გადადის უმწეობის გრძობაში და საფრთხის გაცნობიერებაში.

11. ყველა ადამიანის ტვინი უნიკალურია - ბიოლოგიურად, ყველა ადამიანის ტვინი

ერთნაირად არის მოწყობილი, მაგრამ ჩვენ ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განვსხვავდებით. ეს განსხვავებები განპირობებულია გენეტიკით, ცხოვრების განსხვავებული პირობებით, მიღებული განათლების დონით და სხვ. აღნიშნული განსხვავებები ქმნის განსხვავებულ ინტელექტს. გამომდინარე იქიდან, რომ სწავლება ცვლის ტვინს, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: “რაც უფრო მეტს ვსწავლობთ, მით უფრო უნიკალურები ვხვდებით”.

პრაქტიკული რეკომენდაციები ზრდასრულთა ტრენერს: ზემოთქმულიდან გამომდინარე, სწავლების პროცესი უნდა იყოს განსხვავებული, ითვალისწინებდეს მსმენელთა ინდივიდუალურ მახასიათებლებს და ორიენტირებული იყოს მათზე. ამის საუკეთესო მაგალითია მონაწილეთა სწავლების მოდალობების გარკვევა და სასწავლო კურსის ისე აწყობა, რომ ყველა ტიპის მსწავლელისთვის იყოს შეთავაზებული მისთვის ყველაზე მეტად მისაღები სასწავლო აქტივობა. სასურველია, მონაწილეებს ჰქონდეთ ამ მეთოდებს შორის არჩევანის გაკეთების საშუალება.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ სწავლების პროცესში ისე უნდა შევარჩიოთ სტრატეგიები და ტექნიკები, რომ მან თითოეული მონაწილე აიძულოს ყველაზე ოპტიმალური მეთოდებით

არაფორმალური ზრდასრულთა განათლების შიდა გზამკვლევი

აამუშაოს საკუთარი ტვინი. ამასთან, არ უნდა გვეჩინდეს მოლოდინი, რომ ჩვენი ხელშეწყობისა და ძალისხმევის გარეშე, მონაწილეები დამოუკიდებლად შეძლებენ ამ ყველაფრის მიღწევას.

ზემოთდასახელებული პრინციპების პრაქტიკაში გამოყენების მიზნით შემუშავებულია “სწავლების სამფაზიანი მოდელი”, რომლის მიხედვითაც თავდაპირველად, აუცილებელია შეიქმნას “მოდუნებული ყურადღების” გარემო. ეს არის ტვინის ფუნქციონირებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფაქტორი. მეორე ნაბიჯია - ისეთი სიტუაციის შექმნა, რომელიც მონაწილეებს მისცემს საშუალებას მიიღონ “კომპლექსური გამოცდილება”, მესამე ნაბიჯი კი არის მიღებული გამოცდილების შეფასება.

1. “მოდუნებული ყურადღების” მიღწევა - საუბარია ფსიქიკის ისეთ მდგომარეობაზე, რომელიც საშუალებას აძლევს ტვინს იფუნქციონიროს მაქსიმალურად ოტპიმალურად რაც მიიღწევა შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის გზით. რა არის ამისთვის საჭირო? 1) მონაწილემ არ უნდა იგრძნოს საფრთხე, მაგრამ სასწავლო პროცესი უნდა აღიქვას, როგორც ერთგვარი გამოწვევა; 2) დავალებები უნდა ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ თითოეული მონაწილე გრძნობდეს, რომ მიმართავენ პირადად მას და განიხილოს ეს დავალება, როგორც მისი უნარის გამოცდა. ერთი მხრივ, დავალება არ უნდა იყოს ძალიან მარტივი, რათა შემსრულებელს არ დაეკარგოს ინტერესი, ხოლო მეორე მხრივ, ის არ უნდა იყოს ძალიან რთული, მონაწილეს უნდა დარჩეს შთაბეჭდილება, რომ შეძლებს მასთან გამკალებას. სირთულე უნდა იყოს იმგვარი, რომ მონაწილე გამოიყვანოს კომფორტის ზონიდან. მოდუნებული ყურადღება ნიშნავს, რომ მონაწილე მოდუნებულია ფიზიკურად და მობილიზებულია გონებით, შეუძლია მოახდინოს თავისი ძალების კონცენტრირება კონკრეტულ მიზანზე. მოტივაციის შესაქმნელად ასევე აუცილებელია მსმენელმა მიღებული დავალებები აღიქვას მნიშვნელოვნად. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსმენელი შეძლებს დაინახოს კავშირი შესასრულებელ დავალებებსა და საკუთარ ინტერესებს, პირად მიზნებს ან ცხოვრებისეულ გამოცდილებას შორის.

2. კომპლექსური გამოცდილების შეთავაზება - ყველაზე კარგად მაშინ ვსწავლობთ, როცა ახალი მასალა უკავშირდება ჩვენს ძველ ცოდნებსა და გამოცდილებებს და ახდენს მის შევსებას/გაუმჯობესებას. სკაფოლდინგის პრინციპი ამ შემთხვევაში გადამწყვეტია. ახალი ცოდნის

არაფორმალური ზრდასრულთა განათლების შიდა გზამკვლევი

დაფუძნება უნდა მოხდეს ძველზე. მსმენელმა უნდა დაინახოს დეტალების და მთლიანის კავშირი. აქტუალური თემების კომბინაცია, საინტერესო პროექტები და რეალური პრობლემების გადაჭრა გვეხმარება კომპლექსური გამოცდილების მიღებაში. ასეთი ტიპის სწავლების ორგანიზება, სავარაუდოდ ყველაზე რთული ამოცანაა რაც დგას ტრენერის წინაშე. მას სჭირდება დიდი მომზადება და უნარები მსმენელებს შესთავაზოს ახალი თეორიული ცოდნა, მისი ანალიზი, პრაქტიკული გამოყენება, ფანტაზიის განვითარება და გამომგონებლობა. ამასთან, მუდმივად უნდა გვახსოვდეს, რომ სასწავლო პროცესის კონტექსტი უნდა იყოს საინტერესო, სტიმულის მიმცემი, უნარების განმავითარებელი და კომპეტენციების ასამაღლებელი.

3. აქტიური შეფასება - საქმე ეხება თვითშეფასებას, მსმენელები აცნობიერებენ რა ისწავლეს ახალი. ამ ანალიზის გარკვეული ნაწილი ავტომატურად ხორციელდება. აქტიური თვითშეფასება არის მიღებული ცოდნის გაცნობიერების გზა რომელიც სცდება უბრალოდ გახსენების ფარგლებს. ამასთან, თვითშეფასება არ არის მხოლოდ “მზერა წარსულისკენ”, ის მონაწილეს ეხმარება გააცნობიეროს, რას მიაღწია მან და რას უნდა რომ კიდევ მიაღწიოს. ამ დროს მონაწილე საკუთარ თავს უსვამს კითხვებს: “რა გავაკეთე”? “როგორ გავაკეთე”? “რატომ გავაკეთე ასე და არა სხვაგვარად” და ა.შ. რეფლექსია შეიძლება გავაკეთოთ ინდივიდუალურად ან შესაძლოა ჯგუფის წევრებმა ერთმანეთს გაუზიარონ თავიანთი შეფასებები.

სწავლის მოდალობების (სწავლის სტილის) განსაზღვრის კითხვარი

გთხოვთ, ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული დებულებები და განსაზღვრეთ, რამდენად შეგეფერებათ ისინი. თითოეული დებულების წინ დასვით შესაბამისი ქულა ცხრილის მიხედვით. გთხოვთ, უპასუხეთ ყველა კითხვას და დააჯამეთ თქვენი ქულები სექციების მიხედვით. თქვენთვის შესაფერისი სწავლის სტილი იქნება ის, რომელშიც დააგროვებთ ყველაზე მეტ ქულას.

1	2	3
არასდროს	ზოგჯერ	ხშირად

სექცია პირველი:

1. _____ მე მიყვარს ჩხაპნა (შემთხვევითი ჩანახატების კეთება) და უფრო მეტიც, ჩემ ჩანაწერებს თან ერთვის უამრავი ნახატები, ისრები, სქემები და ა.შ.
2. _____ მე უკეთ ვიმახსოვრებ, თუ ვიწერ.
3. _____ მე ვიკარგები ან ვიგვიანებ დანიშნულების ადგილზე, თუ მიყვებიან როგორ მივიდე კონკრეტულ მისამართზე და მე არ ვიწერ მიმართულებებს.
4. _____ როდესაც ვცდილობ ვინმეს ტელეფონის ნომრის დამახსოვრებას ან რაიმე მსგავსს, შესაბამისი ინფორმაციას სურათის სახით წარმოვიდგენ.
5. _____ თუ ვაკეთებ ტესტს, შემოდის გონებაში წარმოვიდგინო წიგნი და „დავინახო“ შესაბამისი გვერდი, სადაც პასუხია მოცემული.
6. _____ მოსმენის დროს მოსაუბრის ყურება მეხმარება დავიმახსოვრო ინფორმაცია და დავრჩე საკითხზე ფოკუსირებული.
7. _____ ფლემ ბარათების (პატარა სანიშნეების) გამოყენება მეხმარება მასალის დამახსოვრებაში.
8. _____ ჩემთვის რთულია გავიგო რას მეუბნებიან, როცა უკრავს მუსიკა ან სხვა ადამიანები საუბრობენ პარალელურად.
9. _____ ჩემთვის რთულია იუმორის გაგება.
10. _____ უკეთესად ვმუშაობ წყნარ ადგილას/სიმშვიდეში.

ქულათა ჯამი: _____

სექცია მეორე:

1. _____ ჩემი წერილობითი ჩანაწერები არ გამოიყურება მოწესრიგებულად. ჩემს ჩანაწერებშია ბევრია გადახაზული სიტყვები და წაშლილი ტექსტები.
2. _____ კითხვის დროს თითების გამოყენება მეხმარება რომ გავყვე ტექსტს იოლად;
3. _____ ჩემთვის რთულია ტექსტთან მუშაობა, რომელიც არის ძალიან წვრილად ნაბეჭდი ან ცუდად აღქმადი.

არაფორმალური ზრდასრულთა განათლების შიდა გზამკვლევი

4. _____ მე უკეთ ვიგებ თუ რა და როგორ უნდა გავაკეთო, როცა ვინმე მიყვება ამის შესახებ, ვიდრე მაშინ, თუ თავად ვკითხულობ ინსტრუქციას.
5. _____ მე უკეთ ვიმასხოვრებ ინფორმაციას რომელსაც ვისმენ, ვიდრე რომელსაც ვხედავ ან ვკითხულობ.
6. _____ წერა დამძლეულია. წერისას მე მაგრად ვაწვები ჩემს კალამს ან ფანქარს.
7. _____ თვალები მალე მეღლება, მიუხედავად იმისა, რომ ოფთალმოლოგის თქმით ყველაფერი რიგზე მაქვს.
8. _____ კითხვის დროს მსგავსი ბგერითი შემაღგენლობის მქონე სიტყვებს ვურევ ერთმანეთში.
9. _____ ჩემთვის რთულია სხვა ადამიანების ხელნაწერის გარჩევა.
10. _____ არჩევანი რომ მქონდეს როგორ ვისწავლო ახალი მასალა, ლექციის გზით თუ სახელმძღვანელოს გზით, მე წაკითხვას მოსმენას ვამჯობინებდი.

ქულათა ჯამი: _____

სექცია მესამე:

1. _____ არ მიყვარს ინსტრუქციების კითხვა; მირჩევნია პირდაპირ კეთება დავიწყო.
2. _____ უკეთ ვსწავლობ, როცა მაჩვენებენ როგორ უნდა გავაკეთო რამე და მაქვს კიდევ უნარი, გავიმეორე ნაჩვენები ქმედება.
3. _____ მერხთან სწავლა ჩემი არ არის.
4. _____ პრობლემების გადაჭრისას უპირატესობას ვანიჭებს ცდის და შეცდომის მეთოდს, ვიდრე თანმიმდევრულ, ნაბიჯ-ნაბიჯ მეთოდს.
5. _____ სანამ დავიწყებ ინსტრუქციების მიყოლას, მირჩევნია დავინახო, სხვა როგორ აკეთებს ამას.
6. _____ სწავლის პროცესში ხშირად მჭირდება შესვენებები.
7. _____ მე არ გამომდის კარგად ვერბალური გზით ინსტრუქციების ან განმარტებების მიცემა.
8. _____ უცნობ ადგილებშიც კი ადვილად არ ვიკარგები.
9. _____ მე ვფიქრობ უკეთ, როცა მაქვს მოძრაობის და გადაადგილების საშუალება.
10. _____ როცა არ შემიძლია მოვიფიქრო კონკრეტული სიტყვა, ვიყენებ ხელებს და შესტიკულაციას.

ქულათა ჯამი: _____

ქულების რაოდენობა პირველი სექციისთვის: _____ (მხედველობით (ვიზუალური) სწავლის სტილი)

ქულების რაოდენობა მეორე სექციისთვის: _____ (სმენითი (აუდიალური) სწავლის სტილი)

ქულების რაოდენობა მესამე სექციისთვის: _____ (კინესთეტიკი/ტაქტილური სწავლის სტილი)

არაფორმალური ზრდასრულთა განათლების შიდა გზამკვლევი

დანართი 2: რესურსი აქტივობისთვის „რა ვიცი, რა მინდა ვიციოდე და რა ვისწავლე“

რა ვიცი?	რა მინდა ვიციოდე?	რა ვისწავლე?

არაფორმალური ზრდასრულთა განათლების შიდა გზამკვლევი

გამოყენებული ლიტერატურა

დელიენ რ. სვენსონი „სწავლების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო“, 2016

“ზრდასრულთა განათლება საქართველოში და CONFINTEA VI”, საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაცია და *DVV International*, თბილისი, 2009

ს. გორგოძე „როგორ სწავლობენ ზრდასრულები“, ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი“, 24.01.2014;

B. Loveless “Discover your learning style – comprehensive guide on different learning styles”, Education Corner, 2021 <https://www.educationcorner.com/learning-styles.html> ;

C. Rasmussen “Adults as Learners: Effective Teaching Strategies”, University of Minnesota, 2015. https://www.leadingagemn.org/assets/docs/15_Workforce_103_CreatingEffectiveOrientationPrograms-CRasmussen.pdf?fbclid=IwAR2u0GylF6yJ-gUFkolxjx9-F3f_xj3cP7jw_NjapIEjMWNF69h_coinA8

“Best Practices and Strategies for Teaching Adults”, Point Park University, 2021 <https://online.pointpark.edu/education/strategies-for-teaching-adults/?fbclid=IwAR0Q3G0OmWH4hNJoEz-gsfBSoD-fIVmYHELXpYf1pHY3OMLP9IwRpS7g9U>

“What is Adult Learning Theory?” New England Institute of Technology, 2021 https://www.neit.edu/blog/what-is-adult-learning-theory?fbclid=IwAR0ZI_FX6yPS7pJshXmt9jLR9BnCcGYBf1dLZv5v08bP04rLme9I9y5grMk

S. Imel “Guidelines for Working with Adult Learners. ERIC Digest No. 154. https://www.ericdigests.org/1995-2/working.htm?fbclid=IwAR1upwbpHUypNzUlrIIpaNzta4WIHfgkjCyI_QE7BvPK1MMqEem0zWA3bQs

M. Gravani “Adult learning principles in designing learning activities for teacher development”, Open University of Cyprus, 2015

Фопель К. Психологические принципы обучения взрослых. М.: Генезис, 2010.

“Designing Adult Learning Strategies – the case of South Sastern Europe” ETF, 2006

არაფორმალური ზრდასრულთა განათლების შიდა გზამკვლევი